ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 26 მაისი № 1475

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგოკიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ТЕЛЕФОНЪ № 372.

საზალხო სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

ართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული ალხო სეირნობა **საქველმოქმედო ბაზრითურთ** გაიმართება **25** ს **26** **მაისს**, სტვლად **17** და **18** ივნისისა, **რაკრც წინად იყო გამოცხადებული.**

ოავადნი ალექსანდრე და **დავით ლეონიძენი** და **ქნეინა ანასტასია ულიას ასული ლეონიძისა**, რადგანაც შეძლება არა აქვთ პირადად მადლობა გადაუხადონ ყველა იმ პართ და დაწესებულებათ, რომელთაც პატივი სცეს განსვენებულის

ოლოლმონ ივანეს ძის ლეონიძის

ესენებას, გულწრფელ მადლობას უცადებენ ყველას. (1—1)

ართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით იწვევს „საზოგადოების“ წევრთ არა-ჩვეულებრივ კრებაზე, ომელიც მოხდება 1 ივნისს, საღამოს 8 თზე, ქართული თეატრის ფოიეში.

განსახილველი საგნები:

1) გასული წლის შემოსავალ-გასავლის არიში და მოხსენება გამგეობის მოქმეების შესახებ.

2) მიმდინარე საქმეები.

3) არჩევანი „საზოგადოების“ ახალ წევრა.

4) არჩევანი გამგეობის 7 წევრისა და 3 დიდატისა. (2—2)

მთავრობის განკარგულებანი

სამოქალაქო უწყებას:

უთაისის გუბერნიის სახაზინო მიწების უნცროს ამხედველს ტიტულიარნი სოვეტნიკს ბახტაძეს ძა კოლეჟსკი ასესორობა.

ზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებს ნადვორნი სოვეტნიკს ჭიჭინაძეს—კოლეჟსოვეტნიკობა და კოლეჟსკი ასესორს ხორბაძეს ნადვორნი სოვეტნიკობა, იმერეთის ეპარ- კანცელარიის მდივანს კოლეჟსკი ასესორს თბერიძეს ნადვორნი სოვეტნიკობა. ქუთაისის ულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს კოლეჟსკი ეტრებს ჯაჯანიძეს და გეორგაძეს ტიდიარნი სოვეტნიკობა, იმერეთის ეპარქიის კანცეარიის მდივნის თანაშემწეს კოლეჟსკი რეგისტრარს კანდელაკს გუბერნსკი სეკრეტრობა.

ამტკიცებულ იქმნენ კოლეჟსკი სეკრეტრად ოზუთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი შიძე და კავჟარაძე.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 25 მაისს, ხელმწიფე დედოფლის **ალექსანდრა თეოდორეს ასულის** დაბადების დღეს, სამხედრო საკრებულო ტაძარში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ გარდახადა წირვა და შემდეგ სამადლობელი აკლისი. წირვასა და პარაკლისს დაესწენ სამხედრო, სამოქალაქო უწყებათა, ოდებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი და დიდძალი ხალხი.

ქალაქი მთელი დღე მორთული იყო ალებით, საღამოს კი გაჩირაღდნებული.

✦ გუშინ თავად-აზნაურთა ბანკის რწმუნებულთა კრებამ უარჰყო იმ 24 რწმუნებულის განცხადება, რომლითაც იგინი თხოულობდნენ გადიდებულიყო რიცხვი ბანკის ფასებელ კომისიისა და დაადგინა, თანახმად ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის მოსაზრებისა, შედგენილ იქმნეს **სახელმძღვანელოთ ინსტრუქცია** დამფასებელ კომისიისათვის, რომლითაც კომისია დაქვემდებარებული იქნება გამგეობის განკარგულება—დავალებას.

✦ გუშინ, 25 მაისს, **სახალხო თეატრში** წარმოადგინეს ხუთ-მოქმედებიანი დრამა ა. ფურცელაძისა „ავაზაკები“. ხალხი ჩვეულებისამებრ ბევრი დაესწრო; წარმოდგენამ სასურველად ვერ ჩაიარა, მიზეზი ამისი თვით დრამაა, იგი ერთობ დიდი პიესაა, აუარებელი მოქმედი პირებია და იმისთანა **პატარა** თეატრში, როგორიც არის ავჭალისა, ამისთანა რთული დრამის წარმოდგენა ძალიან საძნელოა და მოუხერხებელი. ამ სიძნელეს უფრო აორკეცებს თვით დრამა. რომელიც უფრო საკითხავად არის დაწერილი, ვიდრე სცენისათვის. მოთამაშეთა შორის განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია ბ. ი. ხოსიტაშვილმა (ევდოშვილმა) დარჩოს როლის თამაშით; საუცხოვო იყო ბ. ჯაბაურიც (ტოტოლა) უკანასკნელ მოქმედებაში. საზოგადოდ ყველა მოთამაშენი ცდილიყვნენ, რომ დაეძლიათ სიძნელე პიესისა. ამ წარმოდგენით გათავდა სეზონი წარმოდგენებისა სახალხო თეატრში.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრმა ნება დართო, რომ კავკასიაში **მეგრელთა და მეგრელთა კრება** მოხდეს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ სთხოვა რუსეთის მებაღეობის კავკასიის განყოფილებას, რომ ეს კრება იმ დროს მოხდეს, როცა კავკასიის გამოფენა იქმნება გამართული და რომ ამ კრების მოწყობაში სამეურნეო საზოგადოებამაც მიიღოს მონაწილეობა. მებაღეობის საზოგადოების განყოფილებამ უპასუხა სამეურნეო საზოგადოებას, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია მისი თხოვნის ასრულება და რომ ეს კრება ცალკე, სამეურნეო საზოგადოების დამოუკიდებლად უნდა მოხდესო. მებაღეობის საზოგადოების განყოფილება დასძენს ამასთანავე, რომ თუ სამეურნეო საზოგადოებას ეს ცალკე კრება მოუხერხებლად მიაჩნია, მაშინ მას შეუძლიან თავისი საკუთარი კრება მერმისისათვის გადასდოს.

✦ 24 მაისს სხდომა ჰქონდა ქალაქის **სასწავლებელთა კომისიას**, რომელმაც დაადგინა: 1) პროფესიონალურ სახელოსნოს უნდა მიეცეს 500 მან, რომ მომავალ კავკასიის გამოფენისათვის ექსპონატები დაამზადოს. ეს ფული ამნაირად უნდა შესდგეს: 450 მ. მიეცეს იმ თანხიდან, რომელიც ქალაქის საბჭომ გადასდო იმ აზრით, რომ გამოფენაზე ქალაქის პავილიონი ააგონ; ხოლო დანარჩენი 150 მ. უნდა მიეცეს იმ თანხიდან, რომელიც დანიშნულია პროფესიონალური სახელოსნოსათვის მასალის შესაძენად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი 150 მ. უკან დააბრუნონ გამოფენის დახურვის შემდეგ იმ ფულიდან, რომელიც ექსპონატების გაყიდვისაგან შემოვა. 2) რადგანაც ვერაზე, აგურის ქუჩაზე, არსებულ ქალაქის სკოლასთან მე-2 განყოფილება არსდება, ამიტომ დამტკიცებულ იქმნას სახლის პატრონ ჯალალოვის მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლის სადგომი გაფართოვებულ იქნება; ამას გარდა სკოლის სადგომის ქირა ამას იქით წელიწადში 1100 მან. იქნება. 3) რადგანაც კომისიას გადაწყვეტილი აქვს საქალაქო სასწავლებლებისათვის შემუშავებულ გეგმის თანახმად საკუთარი შენობები ააგოს, ამიტომ მან უარი გამოუცხადა ბ. ლალაიანცს, რომელმაც კომისიას წინადადება მისცა, რომ მისგან კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ადგილი იყიდონ სკოლისათვის.

✦ 24 მაისს სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც ქალაქის საბჭომ მიანდო **სოლოლაკის ტუნელის** საქმის განხილვა. ამ სხდომაზე ქალაქის საბჭოსა და ტეხნიკიხმოსნების გარდა, სპეციალისტებიც იყვნენ მოწვეულნი. სხდომამ განსაკუთრებით ის საკითხი განიხილა, სოლოლაკის ტუნელს ხომ არ შეუძლიან ზარალი მისცეს ტფილისის გოგირდის თბილ წყაროებსა. რადგანაც კომისიას ამ საკითხის გადასაწყვეტად სამეცნიერო ცნობები არა ჰქონდა, ამიტომ მან დაადგინა: სოლოლაკის გორა, სადაც ტუნელის გაჭრას აპირობენ, უნდა გეოლოგიურად გამოიკვლიონ, ამას გარდა თარაზოთი უნდა გასინჯონ. ეს გამოგვლევა მიანდეს სამ ამორჩეულს წევრს. ამ სამმა კაცმა ეს გამოკვლევა ქალაქის ინჟენერის მონაწილეობით უნდა მოახდინონ; გამოკვლევა უსათუოდ 3 თვის განმავლობაში უნდა გათავდეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კომისიამ ამ საქმის არსებითი მხადეკი სწორედ რომ დაივიწყა: ვისი ხარჯით უნდა მოხდეს ეს გეოლოგიური გამოკვლევა და თარაზოთი გასინჯვა, ქალაქის ხარჯით, თუ ინჟენერის ბრაილოვისა და ხატისოვისა, რომლებიც ნდომობენ სოლოლაკის გორაში ტუნელის გაჭრას.

✦ რუსეთის მებაღეობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ **გაზის სნეულებათა გამოკვლევის** სექციის თავმჯდომარედ ცნობილი პროფესორი—მიკოლოგი იაჩევსკი აირჩია.

✦ რადგანაც ზოგიერთი **სამრევლო-საეკლესიო სკოლები** არა მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მოსწავლებით გავსილან, ამიტომ, როგორც ჩვენ გავიგეთ, გადაუწყვეტიათ: 1) ამ სკოლებში უმთავრესად მართლ-მადიდებელ სარწმუნოების პირებს უნდა იყვანდნენ. 2) შეიძლება სხვა სარწმუნოების პირების მიღებაც, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ამით მართლ-მადიდებელი სარწმუნოების პირებს არა ევნოს რა. 3) სხვა სარწმუნოების მოსწავლეებს უნდა გამოერთვას სწავლის ფული წელიწადში 2 მან-დან—10-მდე, ადგილობრივი პირობების მიხედვით. 4) რუსის სექტანტები და სხვა არა მართლ-მადიდებელი სარწმუნოების პირები უმთავრესად ისეთ სკოლებში უნდა მიიღებოდნენ, რომლებსაც მისიონერული ხასიათი აქვთ, და 5) სამრევლო-საეკლესიო სკოლებში ყოველ 40 მოწაფეზე ერთი მასწავლებელი უნდა დაინიშნოს და რამდენადაც მოსწავლეთა რიცხვს მოემატება, იმის დაგვარად მასწავლებელთა რიცხვსაც უნდა მოემატოს.

✦ ჩვენ გვატყობინებენ: ბეჭდვითი საქმის უმთავრეს სამმართველოში ერთ პირს თხოვნა შეუტანია, რომ ქალ. ნოვოროსიისკში ყოველ დღიური **გაზეთის გამოცემის** ნება მისცენ. გაზეთს სახელად „ნოვოროსიისკაია გაზეტა“ ერქმევა.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, ამას წინად ტრამვაის ვაგონში მოკლულ ვაჭარ **მედვინოვს დაუტოვებია ანდერძი.** ამ ანდერძით, მთელი მოძრავი ქონება მელვინოვისა (200.000 მ.) გაყოფილია 20 თანასწორ ნაწილად. 12 ნაწილი მელვინოვს დაუტოვებია თავის ნათესავებისა და ზოგიერთ ნაცნობებისათვის და 8 ნაწილი კი ტფილისში არსებულ ყველა საქველ-მოქმედო დაწესებულებათათვის, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ერის არის იგი.

✦ 24 მაისს ქ. ტფილისში, ნაძალადევში, ამ უბნის პოლიციელი ნიკიტინი ერთი ხარაზის ქარხანაში შევიდა და თავის რევოლვერს წმენდა დაუწყო. რევოლვერი იმ ჯურისა იყო, რომელიც ამ ბოლო დროს დაურიგეს პოლიციას. წმენდის დროს პოლიციელმა ანაზდეულად ჩახმახს მოსწია და რევოლვერი გავარდა. ტყვია იქვე მყოფ ქარგალს აფანასიევს თვალში მოხვდა და ტვინში გაჩერდა. აფანასიევი ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა. პოლიციელს ნიკიტინს ქარგალი აფანასიევი ამ შემთხვევის წინად არასოდეს არ ენახა, მასთან არავითარი საქმე არა ჰქონია და არავითარი ჯავრი არა სჭირებია. აფანასიევი 50 წლის კაცი ყოფილა, შრომის გარდა სხვა შეძლება არა ჰქონია-რა. მას დარჩა მოხუცებული ცოლი და ორი შვილი; ამ ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაჭირვებულია, რომ ნაცნობებმა და მეზობლებმა ფული მოაგროვეს და იმით უნდა დაასაფლავონ უბედური შემთხვევის საცოდავი მსხვერპლი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ №-ში „პრესსის“ უკანასკნელ სტრიქონში სწერია„... არა თუ საზარალო იქნება ფოსტისათვის უნდა იყოს „არა თუ საზარალო იქნება „ფისკისათვის“ (ხაზინისათვის).

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა მოკრიბი კრება.

24 მაისის სხდომა.

23 მაისის სხდომის ოქმის შეუცვლელად დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, გაქვთ თუ არა კიდევ რამე სათქმელი ანგარიშის შესახებ?

თავ. ვ. ს. მიქელაძე. ჩვენ გუშინ ორი საკითხი განვიხილეთ: 1) გამოყოფილ იქმნეს ძირითად თანხიდან განსაკუთრებული თანხა მოკლე ვადიან სესხის გასაცემად და 2) ძირითადი თანხის რაოდენობის შესახებ. საჭიროა კენჭი ეყაროს ამ მეორე წინადადებასაც, რომ ნათლად გვქონდეს გამორკვეული ძირითადი თანხის რაოდენობა.

თავ. მ. ნ. ვეზირიშვილი. გუშინდელს კრებაზე უკვე გარდასწყდა საკითხი, და ეხლა თავ. მიქელაძისაგან აღძრული მეორე საკითხი 1-ლ საკითხთან არის დაკავშირებული, ასე რომ საჭირო არ არის ამას კენჭი ცალკე ეყაროს.

თავ. ვ. მიქელაძე. სრულიადაც არა. ბალანსში უსათუოდ უნდა ამოიშალოს სიტყვა „ძირითადი“ და მის მაგივრად ჩაიწეროს—„დასატრიალებელი“ (оборотный) თანხა მოკლე ვადიან სესხის გასაცემად.

თავ. ჭავჭავაძე. პრაქტიკულად განა ეს რა საჭიროა?

თავ. მიქელაძე. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ნამდვილად 191,000 მ. ძირითადი თანხა გვაქვს და მექანიკურად მასთან შეერთებულია 245,000 მან., რომელსაც სიცხადისათვის საჭიროა ეწოდოს თავის სახელი—დასატრიალებელი თანხა მოკლე ვადიან სესხის გასაცემად.

ბ. ამირაღლოვი. ოცი წელიწადია ბალანსში ეს თანხა ასეა ნაჩვენები და თუ აქამდე თანახმანი ვიყავით, ეხლა 25 წლის შემდეგ იურიდიული უფლებაც არა გვაქვს იგი შევცვალოთო.

თავ. ს. ჩოლოყაშვილი. ბ-ნი ამირაღლოვი თვის მოსაზრებას კანონად უდებს ჩვენს მემკვიდრეებს: 20 წელიწადი ასე გვიკეთია და თქვენც ასე უნდა გაიკეთოთო; ამითანახმაა გამგეობის თავმჯდომარეც...

თავ. ი. ბ. ჯავჯავაძე. მე ეგ არ მითქვამს. მე ვამბობდი, რომ სამინისტრო 25 წელიწადია, რაც თანახმა ხდება ჩვენ ანგარიშის შედგენის წესზე და ერთხელაც არ შეუნიშნავს...

თავ. ს. ჩოლოყაშვილი. დიახ, ეს მაგას მოგახსენებთ, სამინისტრომ არ გვნიშნა, არ გაგვისწორა 25 წლის განმავლობაში და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეს გარემოება კანონად გადავაქციოთ და თუ შესაძლებელი იქნება უკეთესი სხვა საშუალება აღარ გამოვნახოთ მე ვამტკიცებ, ბალანსის ამ ნაწილის ასე შედგენა წესდების დარღვევაა, რადგანაც წესდების მეორე მუხლი ნათლად გვიჩვენებს, თუ ძირითადი თანხა საიდან შესდგება და ეს 20% სარგებლის გადადებით ყოველ წლობით გაზრდილი თანხა კი თანხმად წესდებისა არის ის დასატრიალებელი განსაკუთრებული თანხა, საიდანაც მოკლე ვადიანი სესხი უნდა გაიცეს ხოლმე. ეს ძირითადი თანხა არ არის და საჭიროა მომავალში მაინ აღარ ირღვევოდეს ბანკის წესდება. ეს მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია რომ მკითხველისათვისაც შნიშვნელება ექნება ბალანსში აღნიშნულ თანხის საკუთარ სახელის დაძახებას, რადგანაც ეხლა ჩვენ მას ძირითად თანხას ვეძახით მაშინ, როდესაც ეს დიდად შეაფრთხობს მოკლე ვადიან სესხის მსურველს მით უმეტეს, რომ წესდებით ნება არა გვაქვს ერთი კაპეიკიც რა არის ძირითადი თანხიდან მოკლე ვადიან სესხად გავცეთ.

შემდეგ კარგა ხანს ილაპარაკა **თავ. ი. ჯავჯავაძემ.** გაიმეორა წესდების იმ მუხლები სადაც ნაჩვენებია სახელმძღვანელოდ რიგი ანგარიშის შედგენისა და განაცხადა, რომ წესდება არ ირღვევა და პრაქტიკულად საჭიროდ არა ვცნობთ ისე მოვიქცეთ ბალანსის შედგენის დროს, როგორც აქ ამბობენო.

კარგა ხნის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას: დარჩეს აღნიშნული თანხა როგორც ის ანგარიშში არის ნაჩვენები თუ არა? კრებამ 48 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 11 ხმისა დასტოვა შეუცვლელად ანგარიშის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია შეერთებული თანხა გრძელ და მოკლე ვალიან სესხების გასაცემად.

კარგა ხანს კამათი გამოიწვია აგრეთვე **თავ. ს. ჩოლოყაშვილის** შემდეგმა განცხადებამ: ზედამხედველი კომიტეტი თავის ხელ მოწერით, სცნობს რა ანგარიშს სწორად შედგენილად, ამტკიცებს მას, მაშინ როდესაც აი იქ როგორი შეცდომაა: წესდების თანახმად, ჩვენ მოკლე ვადიანი სესხი უნდა გავცეთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც მისთვის საჭირო თანხა გვაქვს ე. ი. 245,361 მან. 99 კაპ. რაც ბალანსის პასივშია ნაჩვენები; ბანკის გამგეობას, წინაალმდეგ წესდებისა, როგორც ეს ბალანსის აქტივშია აღნიშნული მოკლე ვადიანი სესხი გაუცია 445,131 მან. ვთხოვ ზედამხედველ კომიტეტს განგვიმარტოს ეს გარემოება.

თავ. ი. ჯავჯავაძე. თუმცა წესდებით ეგრეა მოკლე ვადიანი სესხი მხოლოდ სპეციალურად დანიშნულ თანხიდან უნდა იცემოდეს, მაგრამ ნამდვილად ჩვენ ორი რიგი გვაქვს შემოღებული მოკლე ვადიან სესხის გასაცემად და ეს წესი არამც თუ საშიშროს რამეს წარმოადგენს ბანკისათვის, პირიქით ჯერ ბანკისათვის დიდად სასარგებლოა და მერე ხალხს უმართავთ ხელს მოთხოვნილებისა დაგვარად სესხის მიწოდებით; მოკლე ვადიან სესხის გასაცემად მეორე რიგს ასე ვასრულებთ: გარდა მისთვის გადადებულ თანხისა ჩვენ ამ საქმისათვის ვხმარობთ აგრეთვე ბანკის ყველა თავისუფალ თანხებს და მამული 10,000 მან. რომ ღირდეს სესხად ჩვენ ვაძლევთ 2 ანუ 3 ათას მანეთს, ასე რომ სრულიად უზრუნველნი ვართ ამ მხრით. პირველად, გირავნობის ფურცლების გაცემის ნების მიღებამდე, ჩვენ კუთვნილ სესხის ნახევარს ვაძლევთ ხელში და მეორე ნახევარს კი მაშინ, როდესაც მივიღებთ ნება რთვას. ამ წეს რევიზიის მოხდენამდეც ვადექით, მაგრამ სამინისტრომ ამის შესახებ არა გვითხრა რა და მართლაც, თუ კი ჩვენ უზრუნველნი ვიქნებით, ვიდრე ტყუილა თანხა გვექნება ბანკში, უმჯობესი არ იქნება კარგი სარგებლით იგი გავცეთ?

აგრეთვე დიდი კამათი გამოიწვია ბანკის გამგეობის მოხსენებამ იმის შესახებ, რომ წრეევანდელი მოგებიდან გადადებულ იქმნეს 20,000 მ. იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც გამოიწვია წელს ბირჟაზე პროცენტიან ქაღალდების ფასის დაწევამ, როგორც უკვე დაწვრილებით გვქონდა აღნიშნული „ცნ. ფურცელში“ კრების 1-ლ ანგარიშში.

მკურნ. გაბაშვილმა განაცხადა, რომ გამგეობის მოხსენება შეეხება მომავალს და ვინ იცის, როგორ იქნება მომავალში საქმე; მხოლოდ ეხლა ნამდვილად ზარალი 104,722 მ. გვაქვს, რომელიც ანგარიშით ზარალად უნდა იქმნეს მიღებული და დაიფაროს მთლად წლევანდელი მოგებიდან.

ზოგიერთები აცხადებენ, სულ ნუ გადავდებთ წელს ამ ზარალის დასაფარავად ფულს, ვნახოთ სამინისტრო რას გვეტყვისო.

თავ. მიქელაძე და **თავ. ი. ჯავჯავაძე** საჭიროდ ცნობენ დამტკიცდეს გამგეობის მოხსენება აღნიშნულ ზარალის დასაფარავად წელს 20,000 მან გადადებით, რადგანაც შემდეგ შეიძლება უფრო გამწვავდეს ბირჟაზე საქმე და ხელი უფრო შეგვიშალოს და ამ გადადებით კი უფრო შეღავათი გვექნებაო. რამდენიმე ხნის კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო გამგეობის მოხსენება გადაიდეს წელს 20,000 მან. და დანარჩენი შემდეგ წლებში აღნიშნულ ზარალის დასაფარავად შემდეგ, რადგანაც ანგარიშის შესახებ აღარავის არაფერი შენიშვნები არა ჰქონდათ, კრებამ ხმის უმეტესობით დაამტკიცა იგი. სხდომა გადაიდვა 25 მაისის დილის 11 საათისათვის.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 მაისი.

კრემენჩუგი. წვიმა მოვიდა და მცენარეულობა გააცოცხლა.

ყაზანი. ყველგან წვიმა მოვიდა: ანეული ყანები გამოკეთდა: ახალ თესლის თესვა გაათავეს; წვიმის შემდეგ ნათესობა კარგად ამოდის. ბალახი ჯერ-ჯერობით გვარიანია.

ლოძი აქაური სამანუფაქტურო-სამრეწველო სასწავლებლის ახალი შენობის საძირკველი ჩაყარეს.

სიმბირსკი. მკვიდრმა მოქალაქემ ნიკოლოზ იაკობის ძე შატკოვმა სიმბირსკის კომერციულ სასწავლებელს ორი ქვის სახლი შესწირა.

ვენა. საღამოს 6 საათზე შენბრუნის სასახლეში იმპერატორს სადილი ჰქონდა გამართული, რომელზედაც მიწვეულები იყვნენ რუსეთის საელჩოს მრჩეველი ბუდბერგი საელჩოს დანარჩენი წევრებით, რუსის ოფიცრების დეპუტაციის წევრები, სამხედრო მინისტრი და სასახლის უმაღლესი პირნი.

პარიზი. დღეს, როცა პალატის კომისია ბიუჯეტს იხილავდა, ფინანსთა მინისტრმა შეჰნიშნა, რომ კომისიის გუშინდელი დადგენილება დიდ სიძნელეს დაჰბადებსო, ხოლო ამ დადგენილობის ძალით 1902 წლის ბიუჯეტში შემოსავალზე გადასახადი უნდა იქმნეს შეტანილი. მინისტრის შენიშვნის მიუხედავად, კომისიამ მაინც მიიღო გუშინდელი დადგენილება.

პეკინი. აღკრძალულ ქალაქის დასავლეთ ნაწილს რომელიც იაპონელებს და ამერიკელებს უჭირავთ, ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი, ალბად, იმ მეხისაგან გაჩნდა, რომელიც გუშინ დიდი ელვა ქუხილის დროს დაცემოდა უბანს. დიდი წვიმის მიუხედავად, ცეცხლი გაძლიერდა და ბევრი შენობა დასწვა, მათ შორის არხივი და იმპერატორის ბიბლიოთეკა. უვნებლად გადარჩა დიდი შუა დარბაზი, წინაპართა ტაძარი და იმპერატორის კერძო ოთახები. ადამიანი, როგორც ჩანს, არავინ უმსხვერპლია. იმ უბანს, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა, ყველა მხრიდან წრე შემოავლეს, რომ მძარცველები არ შესულიყვნენ.

პეკინი. ტიანძინიდან ცნობა მოვიდა აქ, რომ იქ კვირას ჩხუბი მოხდაო: ინგლისელმა სადარაჯო რაზმმა სროლა დაუწყო და დასჭრა ფრანგი ჯარის-კაცი, რომელიც ყავახანის ბანზე ასულიყო; ამ ფრანგი ჯარის-კაცის ამხანაგები და გერმანელი ჯარის-კაცები ხიშტებით დაერივნენ ინგლისელებს და ქვა დაუშინეს; ინგლისელმა რაზმმა ხელმეორედ დაიწყო სროლა, მოკლა სამი ფრანგი და დასჭრა 4 ფრანგი და 4 გერმანელი; სხვათა შორის, მოკლულ იქმნა ერთი კაციც, რომელიც შემთხვევით ამ ადგილას ახლო მიდიოდა. ვალდერზეეს გარდა, მოკლულთა დასაფლავებას დაესწრნენ კიდევ გენერლები უარონი და ვოგაკი. გამოძიება სწარმოებს.

ალიგალნოტი. ჯემსტაუნის საშველად გაგზავნილმა ინგლისელმა ჯარმა ზარალით უკუაგდო ბურები. საკმაოდ ბევრი სამზადისი, რომელიც ბურებმა ჯემსტაუნში იგდეს ხელთ, უკანვე წაართვეს.

პარიზი. ბიუჯეტის კომისიამ მცირე კომისია დანიშნა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი შემოსავალზე გადასახადის შესახებ. მცირე კომისია მაშინვე შეიკრიბა და დაადგინა, რომ პირდაპირი გადასახადის ოთხი კატეგორია გაუქმებულ იქმნასო და მათ მაგიერ შემოსავალზე პროგრესიული გარდასახადი დაწესდესო. კომისიის მიერ მომხსენებლად არჩეული დიმონი ბიუჯეტის კომისიას პარასკევს მოახსენებს თავის შეხედულებას.

კანეა. ყველა უმთავრესს კონსულებს მოწერილობა მოუვიდათ თავიანთ მთავრობათაგან, რომ მათ არ მიიღონ კრიტის საერო კრების არც პეტიცია, არც დადგენილება იმის შესახებ, რომ კრიტი საბერძნეთს შეურთდესო. სახელმწიფოების მოწერილობა რეტიმნოსა და კანდიის ვიცე-კონსულებსაც გადაეცათ.

პეტერბურგი 23 მაისს დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე საზღვარ-გარეთ წავიდა. 24 მაისს ხელმწიფე-დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა, ხელმწიფე მემკვიდრესთან ერთად, ინახულა ცნობილი მქანდაკებელი თავადი ტრუბეცკოის ქარხანა. ტრუბეცკოი ხვთივ განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე III ძეგლს ამზადებს.—24 მაისს გაასვენეს და დაასაფლავესგარდაცვალებული გენერალ-ადიუტანტი სტიურლერი. წირვის დაწყების დროს გატჩინოდან ეკკლესიაში მოვიდნენ ხელმწიფე-დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე-მემკვიდრე, დიდი მთავრები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, კირილე ვლადიმირის ძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, პეტრე ნიკოლოზის ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე და პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი. განსვენებულის გვამი სმოლენსკის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ბრუდნო. 24 მაისს სადგურ ლინევასთან, მოსკოვ-ბრესტის რკინის გზაზე, ფოსტის მატარებელი № 4 ორ პოვოზკას დაეჯახა; მოკლულ იქმნა 3 ცხენი; ორი კაცი სუმბუქად დაშავდა. დაშავებულები ბრესტის რკინის გზის საავადმყოფოში გაიგზავნენ.

ცარიცინი. ძმათა ბაშენინების ხე-ტყის საწყობზე 200 ათასი მანეთის ხე-ტყე დაიწვა. ხე-ტყე დაზღვეული არ იყო. ჰფიქრობენ, რომ ცეცხლი განზრახ იყო წაკიდებული.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტი 4-დან $3^1/_2$% დასწია.

ლონდონი. [illegible] ნამყოფ [illegible] ბროდრიკმა თქვა: სამხრეთ-აფრიკის ომმა აღმოაჩინა, რომ ბრიტანეთის ჯარები სხვისა ჯარებზე ნაკლებ არ არიან [illegible] წვრთნილიო. ჩინეთის ომმაც დაუმტკიცა [illegible] უცხოელებს, რომ იმათ ბევრი რამ შეუძლ[illegible] ანთ ინგლისელებისაგან ისწავლონ. სამხრეთ-აფრიკის ომს ინგლისი ისევ ძლიერად [illegible] ადამიანურად განაგრძნობს. მთავრობას [illegible] დაწყვეტილი აქვს, არაფერს არ მოერიდ[illegible] რათა საპატიო და მკვიდრი ზავი უზრუნველ[illegible] ჰყოს ინგლისისათვის.

ვაშინგტონი. იმ ამერიკელების ნა[illegible] სავები, რომლებიც ბურების მხარეს იბრძ[illegible] დნენ და ტყვედ ჩაუვარდნენ ინგლისელებ[illegible] შეეკითხნენ ამერიკის მთავრობას, თუ რ[illegible] მდგომარეობაში არიან ჩვენი ტყვე-ნა[illegible] სავებიო. ამერიკის უმთავრესმა კონსულ[illegible] მა კაპშტადტიდან მოსწერა სტატს-ს[illegible] რეტარს გეის, რომ ტყვე ამერიკელებ[illegible] სიმონსტანუნში, დურბანში, წმინდა ელ[illegible] ნესა და ცეილონის კუნძულებზე [illegible] ყოფებიანო; რომ მათზე იქ, როგორ[illegible] რიგია, ისე ზრუნავენ და რომ იმათი ეხლ[illegible] ნდელი მდგომარეობა ინგლისელი ჯარის[illegible] კაცების მდგომარეობას სჯობიაო.

შანჰაი. გაზეთების სიტყვით, იმპერ[illegible] ტორმა ბრძანება გასცა, რომ იმ პირებ[illegible] რომლებსაც ჰსურთ ახალ შეცვლილ ად[illegible] ნისტრაციაში ადგილები მიიღონ, ეგზამ[illegible] ბი უნდა დააჭერინონო. კანდიდატები [illegible] ცა აარჩიონ ნაწილად პეკინის მოხელეთაგ[illegible] და ნაწილად იმ პირთაგან, რომლებსაც [illegible] ფის მოადგილეები დანიშნავენ. ამავე ბ[illegible] ნებით გაუქმებულია ყოველ წლიური [illegible] რჯი, რომელსაც იმპერატორის სასახელ[illegible] უხდიდნენ, გარდა ჩაისა და წამლებისა.

ბერლინი. დღეს ცეცხლის მქრობ რა[illegible] თა კონგრესი გაიხსნა. რუსეთის განყო[illegible] ლება გამოფენაზე ძალიან მოსწონს ყველ[illegible] შინაგან საქმეთა მინისტრმა მადლობა [illegible] დაუხადა გუსტავ ლისტს მისი ექსპონა[illegible] ბისათვის.

ტიანძინი. პეკინსა და ტიანძინს შ[illegible] დიდი წვიმები მოვიდა, რის გამოც მდ[illegible] რეში წყალს მოემატა.

პრეტორია. პოლკოვნიკი ვილსონი 2[illegible] კაცით ვარმბადის ახლო მოულოდნელ[illegible] თავს დაესხა ბურების რაზმის ნაწილს, ს[illegible] 400 კაცს, რომლების უფროსად ბეი[illegible] იყო, და დაამარცხა. ბურებს 43 კაცი მო[illegible] კლეს; მათ შორის გენერალი ბეიერ[illegible] ინგლისელებს 3 მოუკლეს, 15 დაუჭრ[illegible]

25 მაისი.

პოლტავა. ხანგრძლივი და საოცარ[illegible] ცხის შემდეგ მშვენიერი წვიმა მოვიდა; მ[illegible] ნარეულობა გაცოცხლდა. მაზრებიდან [illegible] რებიან, რომ მოსავალს კარგი პირი აქვ[illegible]

ტაშკენტი. 26 მაისს გენერალ-გუბერ[illegible] ტორი მოწვეული პირებით და ტაშკენ[illegible] საზოგადოების წარმომადგენლებით საგ[illegible] გებო მატარებლით მიდის, რომ ჩარჯ[illegible] ხიდის გახსნაზე დაესწროს, რომელიც [illegible] ამუდარიაზე ააშენეს.

ლონდონი. მოკლულთა და დაჭრილ[illegible] სიიდან, რომელიც გუშინდელ გაზეთ[illegible] დაიბეჭდა, სჩანს, რომ პინარსრივერ[illegible] ბრძოლებში 19 და 20 მაისს მოკლულ[illegible] მნა 7 კაცი და დაჭრილია—18; ესენი [illegible] ლანი კიტჩენერის მსროლელები იყვნ[illegible] სია, ალბად, იმ ბრძოლის შესახებ ა[illegible] შედგენილი, რომელიც ვილსონს ჰქო[illegible] ბურებთან, რადგანაც კიტჩენერის მს[illegible] ლელებს ვილსონი უფროსობს.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება ტ[illegible] ძინიდან: „მთავარ-სარდლის თანამდებ[illegible] თავი დავანებე; დღეს ჩინეთიდან გამო[illegible] ვარ ტოკიოს გზით. ტიანძინში სასტ[illegible] ლონისძიება მიიღეს, რომ სხვა-და-სხვა [illegible] ვნების წარმომადგენელთ შეტაკება ა[illegible] მოუვიდეთ. ბევრ. გერმანელ დეპუტაც[illegible] თან ერთად ფრანგი ჯარის-კაცების და[illegible] ლავებას დავესწარი. 22 მაისს, ღამით, [illegible] ელვა-ქუხილის შემდეგ. ალბად, მეხისა[illegible] პეკინში, აღკრძალული ქალაქის დასავ[illegible] ნაწილში, ერთ დაწესებულებას ცეც[illegible] წაეკიდა. მრავალი შენობა დაიწვა; უმ[illegible] რესი ტაძრები კი, როგორც ეტყობა, უ[illegible] ბლად გადარჩა.

რედაქტორი ალ. ჯეონია. გამომცემელ[illegible] ალ. ჯაბადა[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Мая, 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.